# ხელშეკრულება № 03-10 / 46

## სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ბათუმი

2 მარტი 2015 წელი

სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე–2 თავის, მე-10[1] მუხლის, მე-3 პუნქტის და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე–3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის, შესაბამისად ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი ერთის მხრივ ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი“ (შემდგომში _ შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის გოჩა ბერიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს ლანდ – LTD LAND წარმოდგენილი დირექტორი ვაჟა ავალიანის სახით (შემდგომში – მიმწოდებელი), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი“–ს მიერ 2015 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისად, ა(ა)იპ ,,აგროსერვის ცენტრი“–ს ადმინისტრაციული შენობის რემონტისა და გვარას სანერგე მეურნეობის ტერიტორიაზე ღობის მოწყობის საპროექტო – სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურების (კლასიფიკატორის კოდი CPV71320000 საინჟინრო – საპროექტო მომსახურება) (შემდგომში – „მომსახურება“) შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანდართული დანართი №1–ის შესაბამისად.

1.2 საპროექტო – სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს:

1.2.1. ადმინისტრაციული შენობის რემონტის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია:

ა) განმარტებითი ბარათი;

ბ) საპროექტო ობიექტის და მისი საერთო ხედების ამსახველი ფოტომასალა, პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების ჩატარების ფოტომონტაჟი;

გ) სამუშაო პროექტი;

დ) ინტერიერის დეტალიზაცია;

ე) ელექტროობის ესკიზი სველ წერტილში;

ვ) სან–ტექნიკური კვანძების მოწყობა (ესკიზით);

ზ) შენობის რემონტის ორგანიზების პროექტი, კალენდარული გრაფიკი;

თ) ხარჯთაღრიცხვა;

1.2.2. ღობის მოწყობის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია:

ა) განმარტებითი ბარათი;

ბ) საპროექტო ობიექტის და მისი საერთო ხედების ამსახველი ფოტომასალა, პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების ჩატარების ფოტომონტაჟი;

გ) გეოდეზიური რუკა (ტოპოგეგმა)

დ) სამუშაო პროექტი;

ე) ღობის მოწყობის ორგანიზების პროექტი, კალენდარული გრაფიკი;

ვ) ხარჯთაღრიცხვა;

### 2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 2500 (ორი ათას ხუთასი) ლარს.

2.3 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვასთან დაკავშირებული მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, რომლის გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

## 3. მომსახურების ხარისხი

3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

## 4. მომსახურების მიწოდების პირობები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია მომსახურება მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 25 (ოცდახუთი) კალენდარული დღის ვადაში.

## 5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

5.1 მომსახურება მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
5.2. შემსყიდველის მხრიდან მომსახურების მიღება–ჩაბარებას ახორციელებს ა(ა)იპ ,,აგროსერვის ცენტრი"–ს ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი მინდია ნაკაშიძე, სახარჯთაღირიცხვო დოკუმენტაციის ადმინისტრაციული შენობის რემონტის ნაწილში და სასოფლო–სამეურნეო ტექნოლოგიების განვთარების სამსახურის უფროსი ზურაბ დუმბაძე, სახარჯთაღიცხვო დოკუმენტაციის ქობულეთის მუნიციპალიტეტში მდებარე ვაზისა და ხეხილის სანერგე მეურნეობის ტერიტორიაზე ღობის მოწყობის ნაწილში;

## 6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები)

6.1 მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.
6.2 შემსყიდველი ვალდებულია მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან, მიმწოდებლის მიერ მომსახურების მიწოდებასა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან, ასევე შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არა უგვიანეს 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში.

## 7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:
ა) შეამოწმოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდებული მომსახურების ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;
7.2 შემსყიდველი ვალდებულია:
ა) მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
ა) უზრუნველყოს გაწეული მომსახურების მიღება.
7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:
ა) მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) სახართჯთაღრიცხო დოკუმენტაციაში ცვლილებების ან/და სახარჯთღრიცხვო დოკუმენტაციით გაუთვალისწინებელი სამუშაოებისა და საქონლის განფასების აუცილებლობლობის შემთხვევაში შემსყიდველის მიმართვიდან 10 კალენდარული დღის ვადაში, მოამზადებს და შემსყიდველს მიაწოდებს შესაბამის დოკუმენტაციას (ცვლილება სახარჯთაღიცხვო დოკუმენტაციაში, გაუთვალისწინებელი სამუშაოსა და საქონლის ღირებულება).
ბ) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

## 8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. თუ მიმწოდებელი არ ასრულებს თავის ვალდებულებებს, ხელშეკრულებაში მითითებულ ვადებში, შემსყიდველი წერილობითი ფორმით აფრთხილებს მიმწოდებელს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.

8.2. მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდების ვადების დარღვევის, ასევე წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, ან არასათანადო შესრულების შემთხვევაში, მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ღირებულების 0,5 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

8.3. იმ შემთხვევაში, თუვადების გადაცილებით გადახდილი (ანგადასახდელი) პირგასამტეხლოს მთლიანი თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება ვადამდე.

8.4.მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია, პირგასამტეხლოს თანხა გამოქვითოს მოწოდებული საქონლის ასანაზღაურებელი თანხიდან.

8.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 ხელშეკრულების ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 30 აპრილის ჩათვლით.

## 10. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელების წესი

10.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.

10.2 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

## 11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს

ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
12.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## 13. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

13.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ტექნიკური კონტროლი.
13.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით.
13.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 14. სხვა პირობები

14.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
14.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
14.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
14.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
14.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

## 15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

| **შემსყიდველი** | **მიმწოდებელი** |
|---|---|
| ა(ა)იპ ,,აგროსერვის ცენტრი“ | შპს ლანდ – LTD LAND |
| მის. გოგებაშვილის ქ. №46ა | მის. ხელვაჩაური, სოფ. ფერია |
| | სს ,,ვითიბი ბანკი” |
| ს/კ 445399391 | ბანკის კოდი UGEBGE22 |
| | ა/ა №GE96VT5500000002233602 |
| დირექტორი | ს/ კ 448390278 |
| | დირექტორი |
| გოჩა ბერიძე | ვაჟა ავალიანი |

# ფასების ცხრილი

| № | CPV კოდი და დასახელება | მომსახურების დასახელება | ეგზემპლარების რაოდენობა | საერთო ღირებულება |
|---|---|---|---|---|
| 1 | CPV კოდი CPV71324000 ხარჯთაღრიცხვა | ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი"–ს ადმინისტრაციული შენობის რემონტის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება | 3 | 1600,00 |
| 2 | | ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი"–ს გვარას სანერგე მეურნეობის ტერიტორიაზე ღობის მოწყობის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება | 3 | 900,00 |
| ჯამი | | | ლარი | **2500,00** |

ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი"
დირექტორი
გოჩა ბერიძე

შპს ლანდ – LTD LAND
დირექტორი
ვაჟა ავალიანი